



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

2015 წლის
ანგარიში



სარჩევი

კომუნიკაციისა და სამინისტროს სერვისებზე წვდომის გაფართოება 3

დევილთა გრძელვადიანი განსახლება..... 5

რეაბილიტაცია და ახალი მშენებლობები..... 7

„ჰუალინგ ჯგუფისგან“ გამოსყიდული ბინები..... 9

მენაშენებისგან გამოსყიდული ბინები 10

მასშტაბური მშენებლობები 11

სოფლად სახლის პროექტი..... 12

საცხოვრებელი ფართების დაკანონების პროექტი..... 13

იპოთეკური სესხის დაფარვის პროექტი..... 14

სოციალური პაკეტი 14

დევილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება 15

დევილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო - სსიპ 17

ეკომიგრანტები..... 21

ლტოლვილები..... 25

რეპატრიანტები 37

მიგრანტები 38

საერთაშორისო ურთიერთობები 41

სამინისტრო და დონორი ორგანიზაციები 42

ევროკავშირის პროექტი დევილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის გასაძლიერებლად 46

სამინისტროში პოლიტიკისა და ანალიზის სამმართველო შეიქმნა..... 47

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პროექტი 48



წარმოდგენილი ანგარიში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის საქმიანობას ეხება. მასში აღწერილია ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა განხორციელებასაც დევნილთა სამინისტრო ახდენს ბოლო წლების განმავლობაში.

დევნილთა პრობლემები კვლავ მწვავედ დგას და 2015 წლის ბოლოს ქვეყანაში დაახლოებით 268 000 რეგისტრირებული დევნილი იყო. ეს რიცხვი გაცილებით მეტია და დარეგისტრირებულ დევნილთა რაოდენობა რეგულარულად მატულობს, რაც უფრო მეტ რესურსებსა და ძალისხმევას მოითხოვს სახელმწიფოსგან მათი პრობლემების გადასაწყვეტად.

კომუნიკაციისა და სამინისტროს სერვისებზე წვდომის გაფართოება

გრძელდება მიღების დღეების პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც მხოლოდ მინისტრმა და მოადგილეებმა 5 ათასზე მეტი დევნილი მიიღეს 2015 წელს. სისტემატურად ხდებოდა გასვლები დევნილების ჩასახლების ადგილებში. დევნილებთან კომუნიკაციის სრულყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისაღები ცენტრი, რომელმაც გააუმჯობესა სამინისტროს სერვისებზე დევნილების წვდომა და მათი დროისა და სახსრების სერიოზული დაზოგვა გამოიწვია. ცენტრის 13 თანამშრომელი, „ერთი ფანჯრის პრინციპით“, იძულებით გადაადგილებულ პირებს ყოველდღიურად 11 სახის მომსახურებას უწევს. დევნილთათვის საკუთრების დაკანონების პროცედურის გამარტივებისათვის, მისაღებ ცენტრში საჯარო რეესტრისა და ლიბერთი ბანკის წარმომადგენლებიც მუშაობენ.



დევნილებისთვის სამინისტროსთან კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებაა მოქმედი „ცხელი ხაზი“. წლის განმავლობაში, ცხელ ხაზზე, საშუალოდ, 50-60 000 ზარი შემოდის და დასმული კითხვების დიდი ნაწილი შფასების კრიტერიუმებს, წინასწარ მინიჭებულ ქულებს და გრძელვადიანი განსახლების ვადებს ეხება. წარმატებით ფუნქციონირებს სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mra.gov.ge) განთავსებული ონლაინ კონსულტაცია, რომლითაც, 2015 წლის განმავლობაში, 7000-ზე მეტმა ვიზიტორმა ისარგებლა

„ცხელ ხაზს“ 2015 წლის თებერვალში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მხარდაჭერით, საჩივრების ცხელი ხაზი დაემატა. საჩივრების ცხელი ხაზის მიზანია სამინისტროს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და ეფექტურობის გაზრდა და ოპერატიული რეაგირება შესაძლო დარღვევებზე.

აღნიშნული პროექტით ბენეფიციარებს, დევნილებს მიეცათ საშუალება დაუკავშირდნენ საჩივრების ცხელი ხაზის თანამშრომლებს სხვადასხვა შინაარსის საჩივრით, კერძოდ, თუკი დევნილი თვლის, რომ

1. დაირღვა სამართლიანობა საცხოვრებელი ფართის განაწილებისას;
2. არ ეთანხმება ქულების გამოთვლის შედეგებს;
3. გაუუქმდა დევნილის სტატუსი;
4. რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროცესში დაშვებულია ხარვეზები;
5. არ მიუწვდება ხელი სამინისტროს სხვადასხვა პროგრამაზე;
6. შემოტანილ განაცხადზე გვიანდება პასუხი;
7. ირღვევა დევნილის კანონით გარანტირებული უფლებები.

მისი საჩივრის შინაარსი რეგისტრირდება და მასზე რეაგირების მიზნით, სპეციფიკიდან გამომდინარე, ეგზავნება შესაბამის პასუხისმგებელ ერთეულს. ყოველი თვის ბოლოს საჩივრების კოორდინატორი და პროექტის მენეჯერი



ამზადებენ ანგარიშს, რომელშიც თავმოყრილია შემოსული საჩივრების შინაარსი და მასზე განხორციელებული რეაგირება. საბოლოო დოკუმენტი ეგზავნება მინისტრს, მინისტრის მოადგილეებსა და შიდა აუდიტის დეპარტამენტს. დოკუმენტის გავრცელების მიზანია, ერთის მხრივ, საჭიროების შემთხვევაში, ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ერთეულების საქმიანობაში ცვლილებების განხორციელება, ხოლო მეორეს მხრივ, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მხრიდან შესაბამისი ზომების მიღება.

აღსანიშნავია, რომ დევნილს შესაძლებლობა აქვს საკუთარი პრობლემა გააჟღეროს არამხოლოდ ცხელი ხაზის საშუალებით, არამედ, განყოფილებას დაუკავშირდეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც.

საჩივრების ცხელი ხაზის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, სამინისტრომ უზრუნველყო მედია საშუალებების მიერ სიახლის გაშუქება. აღნიშნულის პარალელურად, დაიბეჭდა საინფორმაციო მასალა, რომლის გავრცელებაც, ძირითადად, იმ სეგმენტში მოხდა, სადაც სოციალური და ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, დევნილებს ხელი არ მიუწვდებათ ტელევიზიითა და მედიით გავრცელებულ სიახლეზე. ამას გარდა, პროექტის ბიუჯეტის ფარგლებში მომზადდა სოციალური სარეკლამო ვიდეო/აუდიო რგოლი, რომელიც ორ ეტაპად განთავსდა ტელე-რადიო მაუწყებლების საეთერო დროში.

სამინისტროსადმი ნდობის ამაღლებაში დადებითი როლი ითამაშა სამინისტროს კადრების გადახალისებამ, ანტიკორუფციული გარემოს შექმნამ და დევნილთა ხელახალმა რეგისტრაციამ.



დევილთა გრძელვადიანი განსახლება

დევილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესი სამი მიმართულებით მიმდინარეობს:

1. ნგრევად და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევილი ოჯახების გაყვანა;
2. სასამართლოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებისა და სამინისტროს მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე დევილი ოჯახების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით;
3. კრიტერიუმების შესაბამისად, დევილთა გრძელვადიანი განსახლება.

სამინისტრო დევილთა განსახლების პროცესის დაჩქარების მიზნით, ერთდროულად, რამდენიმე პროექტს ახორციელებს. ესენია:

- რეაბილიტაცია და მშენებლობები;
- მასშტაბური ახალი მშენებლობები;
- „სოფლად სახლი“-ს პროექტი;
- „ჰუალინგ ჯგუფი“-სგან ბინების გამოსყიდვა;
- მენაშენებისგან ბინების გამოსყიდვა;
- დევილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული იმ ობიექტების გამოსყიდვა, რომლებსაც კერძო მესაკუთრე ჰყავს;
- მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართების კერძო საკუთრებაში გადაცემა;
- 2015 წლის პირველ იანვრამდე იპოთეკური სესხით დატვირთული ბინების გამოსყიდვის (საპილოტე) პროექტი.



რეაბილიტაცია და ახალი მშენებლობები

2015 წელს რეაბილიტირებულ და ახლადაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა 1269 დევნილი ოჯახი. 2013-2015 წლებში სამინისტრომ ასევე კერძო მესაკუთრეებისგან გამოისყიდა და დევნილებს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადასცა 18 ობიექტი, სადაც განსახლებულია 721 დევნილი ოჯახი.

რეაბილიტირებული, ახლადაშენებული ობიექტები (2015):				
№	რეგიონი	ობიექტის დასახელება	მისამართი	ბინების რაოდენობა
1	თბილისი	ვარკეთილი III, IV მ/რ	ოლიმპიური სოფელი	330
2		ნამალადევი	ცოტნე დადიანის ქ. 7	132
3		კრწანისი	კალოუზნის ქუჩა	25
4		ვარკეთილი	მაისურაძის ქუჩა	9
5		დოდაშვილის ქუჩა		33
6		ყოფილი ლიცეუმი	ბაბუციძის ქ. N12	24
7	აჭარა, სამეგრელო, ზ/სვანეთი	ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N4	ახალი დასახლება, 10 კორპ.	320
8		ფოთი, ფიროსმანის ქ. N9	რეაბილიტირებული	9
9		ფოთი, მალთაყვა,	ახალი დასახლება	5
10		ზუგდიდი, ახალსოფელი	რეაბილიტირებული	42
11	იმერეთი, გურია, რაჭ-	ონი	ბააზოვის ქ.	8
12		ქუთაისი, ოცხელის ქ, N2	ყოფ. კლინიკური	109



	ლეჩხუმი		საავადმყოფო	
13		ქუთაისი, შმიდტის 2	ახალი მშენებლობა (მენაშენეები)	35
14		ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა		65
15	შიდა	ბორჯომი	ვაშლოვანის ქ. N2	18
16	ქართლი და	კასპი, (რეაბილიტირებული)	სააკაძის ქ. N110	39
17	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	რუსთაველის ქ. N113	66
				1269

სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს ვაზიანში, ხაშურში, ახალციხესა და ქუთაისში, სადაც მალე 733 დევნილი ოჯახი საკუთრებაში მიიღებს ბინას.

მიმდინარე პროექტები (2015 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით):

რეგიონი	ქალაქი/დასახლება	მისამართი	ბინების რაოდენობა
იმერეთი	ქუთაისი	ნიკეას #21	96 ბინა
სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამეგრელოს რეგიონი		14 ბინა (კოტეჯები)



ქვემო ქართლი	ვაზიანი	სამხედრო დასახლება	80 ბინა
შიდა ქართლი	ხაშური	რუსთაველის #38	111 ბინა
შიდა ქართლი	ხაშური	სააკადის #2	85 ბინა
სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომი	ვაშლოვანის ქ. N4	70 ბინა

„ჰუალინგ ჯგუფისგან“ გამოსყიდული ბინები

პირველად 22 წლიანი დევნილობის შემდეგ, დევნილ ოჯახებს ბინები თბილისში, ახლადამენებულ კორპუსებში გადაეცათ.

მნიშვნელოვანია ჩინურ კომპანია „ჰუალინგ ჯგუფთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სამინისტრომ 630 ბინა შეისყიდა. აქედან, 2015 წელს საცხოვრებელი ფართი 330-მა დევნილმა ოჯახმა მიიღო, ხოლო დარჩენილი ბინები 2016 წლის ივნისამდე განაწილდება.

დევნილი ოჯახების განსახლების ადგილას, საცხოვრებელი კორპუსების პარალელურად, შენდება სკოლა, საავადმყოფო, პოლიციის განყოფილება, სახანძრო-სამაშველო სადგური და კომერციული ზონა, რომელიც ამიერკავკასიაში უდიდეს სავაჭრო ცენტრს მოიცავს. მომავალში, სამინისტროს ხელშეწყობით, აღნიშნულ ობიექტებში შესაძლებელი იქნება დევნილების დასაქმება.



მენაშენეებისგან გამოსყიდული ბინები

ასევე წარმატებით ხორციელდება ქართველი მენაშენეებისაგან ბინების გამოსყიდვის პერსპექტიული პროექტი. ქართველი მენაშენეებისაგან ბინების გამოსყიდვა კონკურსის წესით ხორციელდება. სამინისტრომ მენაშენეებისაგან ქვეყნის მასშტაბით შეისყიდა 735 ბინა თბილისში, ქუთაისსა და მარნეულში. 2015 წელს ქუთაისში ქართველი მენაშენეებისგან გამოსყიდული თანამედროვე სტანდარტების კორპუსში საცხოვრებელი ფართი გადაეცა 35 დევნილ ოჯახს. თბილისში საცხოვრებელი ფართი გადაეცა 201 დევნილ ოჯახს, ხოლო დარჩენილი 499 ბინა (თბილისი, ქუთაისი, მარნეული,) 2016 წელს განაწილდება. ამ პროექტით გაჩნდა დევნილთა ბინებით უზრუნველყოფის ახალი წყარო, რომელიც დააჩქარებს დევნილთა ინტეგრაციისა და ბინებით უზრუნველყოფის პროცესს. ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია თავად მენაშენეებისთვის, რადგან დასრულდება არაერთი გაჩერებული მშენებლობა, შეიქმნება სამუშაო ადგილები და ამით ბიუჯეტიც ისარგებლებს.

2015 წელს მენაშენეებისაგან გამოსყიდული ბინები

თბილისი	ქუთაისი	მარნეული
422	263	50



მასშტაბური მშენებლობები

2015 წელს დაიწყო მასშტაბური მშენებლობები ქუთაისსა და ზუგდიდში. ქუთაისში 2 000 დევნილი ოჯახისთვის 25 თექვსმეტსართულიანი კორპუსის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. 2 კორპუსის მშენებლობა 2016 წლის შემოდგომაზე დასრულდება, სადაც ბინას 160 დევნილი ოჯახი მიიღებს. ახალი კორპუსები პარალელურ რეჟიმში აშენდება. ხოლო ზუგდიდში 2 016 დევნილი ოჯახისთვის 26 თორმეტსართულიანი კორპუსი აშენდება. 2 კორპუსის მშენებლობა 2016 წლის შემოდგომაზე დასრულდება, სადაც ბინას 144 დევნილი ოჯახი მიიღებს. პარალელურ რეჟიმში კორპუსების მშენებლობა ზუგდიდშიც გაგრძელდება, რაც აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მწვავე პრობლემას მოხსნის. 2015 წლიდან დაიწყო კორპუსების მშენებლობა გორში, სადაც ბინას 480 ოჯახი მიიღებს და ამით გორში დევნილთა განსახლების პრობლემა მოიხსნება, ხოლო წყალტუბოში, ამ ეტაპზე, საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს და მშენებლობა 2016 წლის პირველ ნახევარში დაიწყება.

რეგიონი	ქალაქი	მისამართი	ბინების რაოდენობა
სამეგრელო ზემო-სვანეთი	ზუგდიდი	ბარამიას ქუჩა	2 000 ბინა
იმერეთი	ქუთაისი	შერვაშიძის #53	2 016 ბინა
შიდა ქართლი	გორი	მოსკოვის ქ. N1	480 ბინა



სოფლად სახლის პროექტი

სამინისტროში ხორციელდება ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი „სოფლად სახლი“. ეს პროექტი მნიშვნელოვანია ბევრი მიმართულებით. სამინისტრო 20 ათასი ლარის ფარგლებში დევნილებს სთავაზობდა სოფლად სახლებს საკარმიდამო ნაკვეთით, მაგრამ იქმნებოდა სერიოზული პრობლემა იმის გამო, რომ სამინისტროს მიერ მოძიებული სახლები დევნილებს არ აკმაყოფილებდათ. ამიტომ, სამინისტრომ შეცვალა მიდგომა და ახლა უკვე დევნილი თვითონაა ჩართული სახლის მოძიების პროცესში, რომელსაც მას სამინისტრო კრიტერიუმების შესაბამისად შეუძენს. რაც მთავარია, კრიტერიუმები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და თანხის რაოდენობა განისაზღვრა ოჯახის სულადობიდან გამომდინარე. 17 000 ლარი ოჯახზე, რომელიც შედგება 1-2 წევრისაგან, 21 000-3-4 წევრი, 26 000- 5-7 წევრი, 31 000 - 8 და მეტი წევრი. აუცილებელი პირობაა, სახლს ჰქონდეს მიწის ნაკვეთი.

სოფლად სახლის პროექტის ფარგლებში, სამინისტრომ ქვეყნის მასშტაბით 758 დევნილ ოჯახს კერძო სახლის შეძენაზე თანხმობა განუცხადა:

რეგიონი	
აჭარა და სამეგრელო ზემო-სვანეთი	346
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	138
ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი და კახეთი	211



შიდა ქართლი და სამცხე ჯავახეთი	63
--------------------------------	----

საცხოვრებელი ფართების დაკანონების პროექტი

2014 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე პროექტი“, რომელიც ამოქმედდა 2014 წლის 1 ნოემბრიდან. 2015 წელს გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულებები 6434 საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე („საცხოვრებელი ფართის დაკანონება“).

საცხოვრებელი ფართების დაკანონების პროექტი	ოჯახების რაოდენობა
თბილისი	1685
კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	1247
შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი	846
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, გურია-	902
სამეგრელო, აჭარა	1754
საერთო ჯამი	6434



იპოთეკური სესხის დაფარვის პროექტი

სამინისტროში ამოქმედდა „დევნილი ოჯახებისთვის იპოთეკური სესხების დაფარვის“ საპილოტე პროექტი, რომლის ფარგლებშიც, სამინისტრომ იპოთეკური სესხი 49 დევნილ ოჯახს დაუფარა. ფულადი დახმარება გაიცემა იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებსაც 2015 წლის პირველ იანვრამდე, იპოთეკური სესხით შეძენილი აქვთ საცხოვრებელი სახლი/ბინა და აღნიშნული წარმოადგენს ოჯახის ერთადერთ კერძო საკუთრებას. იპოთეკური სესხის დაფარვისათვის, ფულადი დახმარების მაქსიმალური ოდენობა ერთ დევნილ ოჯახზე არის, არაუმეტეს, 20 000 ლარი.

საპილოტე პროექტისათვის საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი იყო 1 000 000 ლარი.

იქიდან გამომდინარე, რომ პროექტისადმი დევნილი ოჯახების ინტერესი დიდია, სამინისტრო 2016 წელს ამ მიმართულებით დაფინანსებას კიდევ უფრო გაზრდის.

სოციალური პაკეტი

ის, რომ დევნილთა პრობლემები სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია, ნათლად აჩვენა ახალმა ბიუჯეტმა, რომელიც თითქმის, გასამმაგდა და 25 მილიონიდან 70 მილიონი ლარი გახდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, დევნილები საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ფენად რჩებიან. ამიტომ, სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს სოციალური პაკეტების განხორციელებას. 2015 წლის განმავლობაში ერთჯერადი ფულადი დახმარებისა და ქირის სახით, ჯამში, 1 254 080 ლარზე მეტი გაიხარჯა.



საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში დევნილთათვის გაწეული სოციალური დახმარება:

წლები	ქირა გაცემული თანხა	ერთჯერადი დახმარება გაცემული თანხა	200-ლარიანი დახმარება გაცემული თანხა	კომუნალური გადასახადების დაფარვა გაცემული თანხა
2013	175 600	264 682	4 555 800	6 042 032
2014	462 750	850 160	4 388 800	2 043 918
2015	759 500	494 580		
სულ	1 397 850	1 609 422	8 944 600	8 085 950
საერთო ჯამი				20 037 822

დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება

სამინისტრო დევნილთა გრძელვადიან განსახლებამდე დიდ ყურადღებას უთმობს მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, რისთვისაც, საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, სხვადასხვა კომპაქტურ ჩასახლებებში სარეაბილიტაციო



სამუშაოებს (იტაკისა და სახურავების შეკეთება, წყლისა და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, გაზიფიცირება და სხვა) ახორციელებს.

ხოლო იგივე სამუშაოები დევნილებისათვის დაკანონებულ ჩასახლებებში, მუნიციპალიტეტებთან თანადაფინანსებით ხორციელდება.

დასახელება	პერიოდი	ობიექტების რაოდენობა	გადარიცხული თანხა
თანადაფინანსებები (სამინისტრო-მუნიციპალიტეტები)	2013 წელი	18 ობიექტი	183,498.00
	2014 წელი	112 ობიექტი	497,439.00
	2015 წელი	163 ობიექტი	445,526.00
სულ		293	1,126,463.00
სარეაბილიტაციო სამუშაოები (სახურავები, წყალ-კანალიზაცია და ა.შ)	2013 წელი	25 ობიექტი	456,854.00
	2014 წელი	69 ობიექტი	2,134,303.00
	2015 წელი	198 ობიექტი	2,099,951.00
სულ		292	4,691,108.00

ხშირ შემთხვევაში, სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებებიდან მნიშვნელოვანი თანხების გაღება უწევს 2012 წლამდე გადაცემული ობიექტების მშენებლობისას დაშვებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.



მაგალითად, ფოთში, 2011 წელს დევნილთათვის აშენებული 32 ავარიული კორპუსის რეაბილტაციისა და თბოიზოლაციისთვის მთავრობამ სარეზერვო ფონდიდან 2,5 მლნ. ლარი გამოყო. ქურთისა და ერედვის მუნიციპალიტეტის კოტეჯებში არსებული მძიმე საცხოვრებელი პირობების გამოსასწორებლად, რომლებიც დევნილებს 2008 წლის ომის შემდეგ გადაეცათ, დაიხარჯა 800 000 ლარი.

დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო - სსიპ

დევნილთა სამინისტრო ცვლის მიდგომებს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისადმი. დევნილთა გრძელვადიანი განსახლება ისევ რჩება ძირითად პრიორიტეტად, მაგრამ ნელ-ნელა, სულ უფრო მეტი აქცენტი გაკეთდება დევნილთა შრომითი მოწყობის, პროფესიული გადამზადებისა თუ ბიზნეს-პროექტების რეალიზებაზე.


ამ მიზნით, სამინისტროს ინიციატივის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 31 მაისის №367 ბრძანებულებით, შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო. სააგენტოს მთავარი მიზანია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია მათი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის გზით. სამინისტროს მიერ შემუშავდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთათვის საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერის სტრატეგია“, რაც განსაზღვრავს დევნილთა საარსებო წყაროებით მხარდაჭერის ძირითად მიმართულებებს, პრიორიტეტებს და მათი განხორციელების გზებს. სააგენტომ ფუნქციონირება 2014 წლის ოქტომბერში დაიწყო და 2015 წელს მოხდა მისი ორგანიზაციული რესტრუქტურისა.

სსიპ- დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი მიზანია, დევნილთა საჭიროებაზე მორგებული პროექტებისა და



პროგრამების შემუშავება და მათი იმპლემენტაციის მიზნით, სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობა.


2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საარსებო წყაროების სააგენტო აქტიურად ახორციელებს დევნილთა რეგისტრაციას სამუშაოს მაძიებელთა ერთიან ბაზაში. ამ მიზნით ჩატარდა საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც სააგენტოს სავლე ოფიცრები იმყოფებოდნენ 103 კომპაქტურ ჩასახლებაში თბილისის მასშტაბით. დასახლებები შეირჩა ჩასახლებულ დევნილთა რაოდენობის მიხედვით. საწყის ეტაპზე, საინფორმაციო კამპანია განხორციელდა იმ ჩასახლებებში, სადაც 100 და მეტი დევნილი ცხოვრობს. კერძოდ, გლდან-ნაძალადევის, დიდუბე-ჩუღურეთის, ისანი-სამგორის, მთაწმინდა-კრწანისა და ვაკე-საბურთალოს რაიონებში. ჩატარებული კამპანიის სურათი რაიონების მიხედვით ასეთია:





2015 წლის ბოლოს სააგენტოს თანამშრომელთა მიერ სამუშაოს მაძიებელთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული იყო 297 დევნილი, რომელთაც არ აქვთ წვდომა ამ სერვისზე ან არ არიან ინფორმირებულნი მისი არსებობის შესახებ.

აქტივობა თვეების მიხედვით:



საარსებო წყაროების სტრატეგიიდან გამომდინარე, დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, სააგენტო ერთ-ერთ პრიორიტეტულ სამიზნე ჯგუფად მიიჩნევს იმ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც სამინისტროს სოფლად სახლის პროექტის ფარგლებში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდნენ. საარსებო წყაროების სააგენტოში განიხილება



შესაძლებლობა, შემუშავდეს და განხორციელდეს ამ პროექტის ბენეფიციართა საარსებო საჭიროებებზე მორგებული პროგრამა. ამ მიზნით, სააგენტოსა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა სოფლად სახლის პროექტის ბენეფიციართა საარსებო წყაროების საჭიროებათა კვლევა და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

კვლევა განხორციელდა მთელი საქართველოს მასშტაბით და შედეგად გამოვლინდა, რომ სოფლად სახლის პროექტის ბენეფიციარები არ მიეკუთვნებიან უკიდურესად მოწყვლად დევნილთა კატეგორიას და რიგ შემთხვევებში, მათ აქვთ მცირე დანაზოგის გაკეთების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია თანადაფინანსების სისტემაზე მორგებული პროგრამის შემუშავება. ამ პროექტის ბენეფიციართათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს თვითდასაქმების შესაძლებლობების ზრდა სოფლის მეურნეობისა და მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის გზით. არსებითი მნიშვნელობა აქვს ფერმერთა სამიზნე ჯგუფებისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების შეძენისა თუ განვითარების ხელშეწყობას, რათა წახალისდეს სოფლად დაფუძნებული მცირე საწარმოების ეფექტიანი მუშაობა.

ამჟამად, მიმდინარეობს საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის გადასინჯვის პროცესი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ოთხი სამუშაო შეხვედრა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობებისა და დევნილთა წარმომადგენლები. შეხვედრები მიზნად ისახავდა, დევნილთა კონკრეტული საჭიროებების გამოვლენას, რომელთა მაქსიმალური ასახვა მოხდა განახლებულ სამოქმედო გეგმაში.

ამ ეტაპზე სააგენტოს პრიორიტეტს წარმოადგენს საარსებო წყაროების მიმართულებით მომუშავე სამთავრობო, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების ძალისხმევის კოორდინირება, არსებული შესაძლებლობების შესახებ დევნილთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება და საარსებო წყაროების



შექმნისა და გაუმჯობესების გზით, მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ეკომიგრანტები

წლების განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით მომხდარი სხვადასხვა სტიქიური უბედურებების შედეგად უამრავი ოჯახი დაზარალდა. 2006 წლის მონაცემებით, საქართველოში 37 000-მდე ეკომიგრანტი ოჯახი აღირიცხა. თუმცა, მათ რიცხვში მოხვდნენ ისინიც, ვინც საცხოვრებელი ადგილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო დატოვეს და ისინიც, ვინც დაზარალდნენ ისეთი სტიქიური მოვლენების შედეგად, რომლის დროსაც ოჯახი არ ხდება ეკომიგრანტი. შესაბამისად, მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ რეალურად, ქვეყნის მასშტაბით უცნობი იყო ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობა. ყოველივე ამის მიზეზი კი გახლდათ, ის, რომ 2013 წლამდე არ არსებობდა არანაირი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც დაარეგულურებდა და განსაზღვრავდა, თუ ვინ არის ეკომიგრანტი, არ არსებობდა ერთიანი მიდგომა ბენეფიციარი ოჯახების განსახლების მხრივ. სამინისტროს მიერ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში შესყიდული სახლების განაწილება ხდებოდა ჩინოვნიკების ინდივიდუალური გადაწყვეტილებების საფუძველზე.

ზემოთაღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით, სამინისტრომ 2013 წლიდან დაიწყო სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. 2013 წლის 13 ნოემბერს გამოიცა მინისტრის N779 ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა ეკომიგრანტი ოჯახების დეფინიცია, განისაზღვრა ეკომიგრანტი ოჯახების განსახლების პროცედურები. სამინისტროში 2014 წელს ახლადშექმნილ ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტთან ერთად ჩამოყალიბდა ახალი მიდგომა, რომლის მიხედვითაც, განსახვავებით წინა წლებისა, ბენეფიციარ ოჯახებს ეძლევათ საშუალება თავად



მოიძონ და შესასყიდად წარმოადგინონ საცხოვრებელი სახლი საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე, რომელიც იქნება მათ მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე მორგებული. შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტლებით 2015 წლის განმავლობაში გაიზარდა ოჯახების ჩართულობა განსახლების პროცესში და შეიცვალა მანკიერი პრაქტიკა, როცა სამინისტროს მიერ წინასწარ შესყიდულ სახლებში უწევდათ ოჯახებს განსახლება მათთვის უცხო გარემოში. ამის გამო ხშირი იყო ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც იწვევდა, ხშირ შემთხვევაში, ოჯახების უკუმიგრაციას.

მნიშვნელოვნად შეიცვალა მიდგომა ეკომიგრანტი ოჯახების განსახლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების კუთხითაც. თანამდებობის პირების ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღების ნაცვლად, განსახლების შესახებ საბოლოო სიტყვა „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების საკითხების მარეგულირებელ კომისიაზე“, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობენ, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, ასევე სახალხო დამცველის ოფისი და სხვადასხვა ავტორიტეტული ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. დაიხვეწა თვითონ კრიტერიუმებიც, ნაცვლად სტიქიით დაზარალების 4 კატეგორიისა, ჩამოყალიბდა 2 კატეგორია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამინისტროს ახალი მიდგომის ფარგლებში შესყიდული საცხოვრებელი სახლი პირდაპირ საკუთრებაში ურეგისტრირდება ეკომიგრანტ ოჯახს, განსხვავებით წინა წლებისა, როდესაც, დაახლოებით, 1000-მდე ოჯახისთვის გადაცემული საცხოვრებელი სახლი ისევ სახელმწიფო საკუთრებაში რჩება.

ამ საკითხის მოგვარების მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, 2015 წლის 15 ივნისიდან 15 დეკემბრის ჩათვლით სამინისტრომ განახორციელა „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების



დროებით სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემისათვის საჭირო ღონისძიებათა თაობაზე“ პროექტი, რომლის ფარგლებშიც, მოხდა 2004-2012 წლებში შესყიდული საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების აზომვითი საკადასტრო ნახაზების მომზადება და მათი ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო საკუთრებად, რომლის შემდეგაც, 2016 წლიდან დაიწება მათი კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცედურები, რომლის ფარგლებშიც 1000-მდე ეკომიგრანტ ოჯახს დაუკანონდება საცხოვრებელი სახლი.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პრობლემურ საკითხად რჩება ეკომიგრანტი ოჯახების ზუსტი რაოდენობა და მონაცემთა ბაზა, რომლის მოგვარების მიზნითაც უკვე გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები. სამინისტროსა და ევროკავშირის მჭიდრო თანამშრომლობით, „სამინისტროში მიმდინარე პროცესებზე ორიენტირებული ტექნიკური დახმარების“ პროექტის ფარგლებში, შეიქმნა მონაცემთა ბაზის პროგრამული უზრუნველყოფა და მუნიციპალიტეტებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის ფორმირება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მზარდი დაფინანსება. იმ პირობებში, როცა 2010-2012 წლების მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან არცერთი თეთრი არ იყო გამოყოფილი ეკომიგრანტი ოჯახების განსასახლებლად, 2013 წლიდან დაიწყო სახსრების მობილიზება. 2013-2014 წლებში, ჯამში, გამოიყო 1 320 000 ლარი, 2015 წელს, ამ ციფრმა შეადგინა 1 800 000 ლარი, ხოლო 2016 წელს 2 250 000 ლარი.

გარდა საბიუჯეტო სახსრებისა, „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან“ სამინისტროს მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად, საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, გამოიყო 550 000 შვეიცარიული ფრანკი, რომლითაც, 53 ეკომიგრანტმა ოჯახმა მიიღო ახალი საცხოვრებელ სახლი. შვეიცარიული მხარის დახმარებით მოხდება მათი ადაპტაციისთვის შესაბამისი



პროგრამის განხორციელება, რომელიც ინდივიდუალურად იქნება მორგებული თითოეული განსახლებული ოჯახის საჭიროებებზე.

ყოველივე ზემოთხსენებულმა ცვლილებებმა უკვე გამოიღო თავისი შედეგი. სამინისტროს მიზანდასახული და სწორი მუშაობის შედეგად მოგვარდა ისეთი პრობლემები, რომელიც ათეული წლების მანძილზე რჩებოდა პრობლემად ჩვენი სახელმწიფოსთვის, მაგალითად: ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელი პანტნარი- ამ სოფელში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა 20 წლის მანძილზე ელოდებოდა სახელმწიფოსგან დახმარებას. დღეის მდგომარეობით, ეს პრობლემა მოგვარებულია და ამ ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების შესყიდვა უკვე განხორციელდა. იგივე შეიძლება ითქვას დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეძათხევზე, თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შარახევზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახზე, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანაზე. ამ და სხვა სოფლებში მაცხოვრებელი სტიქიით დაზარალებული ოჯახები წლების მანძილზე საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ.

სამინისტრომ 2015 წელს სულ 143 ოჯახის საცხოვრებელი სახლით დაკმაყოფილება უზრუნველყო და 2016 წლის ბოლომდე, დამატებით, კიდევ 90 ოჯახისთვის მოხდება სახლების შესყიდვა.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს, პირველად ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო პროექტი „ეკომიგრანტი და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების ადვოკატირების კამპანია“, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტი“ და რომლის მიზანია, ეკომიგრანტებისა და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების სამართლებრივი და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში, სამინისტროსთან ერთად, დაგეგმილია სამუშაო შეხვედრები, როგორც „დაზარალების“ ასევე „განსახლების“ მუნიციპალიტეტებში.



ლტოლვილები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოვილთა სამინისტრო საქართველოში შემოსული თავშესაფრის მაძიებელთათვის საერთაშორისო დაცვის მიმნიჭებელი უწყებაა. ამდენად, სამინისტრო აქტიურად მუშაობს როგორც თავშესაფრის საკითხების საკანონდებლო ბაზის სრულყოფაზე, ასევე საკანონდებლო ნორმების პრაქტიკაში იმპლემენტაციისა და თავშესაფრის მაძიებელი თუ სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი გარანტირებისთვის.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2011 წელს მიღებული საქართველოს კანონი ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შესახებ, ისევე როგორც 1951 წლის გაეროს კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და ამ კონვენციის 1967 წლის დამატებითი ოქმი. აქვე აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან, თავშესაფრის სისტემის სამართლებრივი ჩარჩოს განვითარების მხრივ საქართველო აქტიურად ახორციელებს „ასოცირების შესახებ შეთანხმებით“, „ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმითა“ და „2013-2015 წწ. მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესის უზრუნველსაყოფად 2015 წელს განხორციელდა მთელი რიგი საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური ცვლილებები, ისევე როგორც გაძლიერდა თავშესაფრის მაძიებელთა და სტატუსის მქონე პირთა დაცვისა და ინტეგრაციის სამართლებრივი გარანტიები.



თავშესაფრის სამართლებრივი ჩარჩო

- ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც მოიცავს: 1) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავშესაფრის მაძიებელი პირის უკანონო შესვლის დაუსჯელობას, როდესაც მოცემული პირები შემოდიან უშუალოდ იმ ქვეყნიდან, სადაც მათ საფრთხე ემუქრებათ (მუხლი 322¹); 2) გაყალბებული საბუთებით საქართველოში შემოსული თავშესაფრის მაძიებლების დაუსჯელობის ნორმის გათვალისწინებასაც, როდესაც მოცემული პირები შემოდიან უშუალოდ იმ ქვეყნიდან, სადაც მათ საფრთხე ემუქრებათ(მუხლი 362, ნაწილი 3); 3) ასევე, საქართველოში შემოსული თავშესაფრის მაძიებლის საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო ყოფნის დაუსჯელობას, როდესაც მოცემული პირი შემოვიდა უშუალოდ იმ ქვეყნიდან, სადაც მას საფრთხე ემუქრება (მუხლი 344). აღნიშნული ცვლილებები უკვე შევიდა ძალაში.
- საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების მიხედვით, თავშესაფრის მაძიებლების მიერ მათთვის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ვადა გაიზარდა 15 დღემდე, ხოლო სასამართლოში თავშესაფრის საკითხებზე საქმის განხილვის ვადა შემცირდა 2 თვემდე. ასევე, თავშესაფრის მაძიებელთა საკითხების განხილვა სამი ინსტანციის სასამართლოდან შემცირდა 2 ინსტანციამდე. იმისთვის რომ მოხდეს თავშესაფრის მაძიებელთა გასაჩივრების უფლებისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლების გარანტირება, სამინისტროს მიერ ხდება სტატუსის მიღების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთების თარგმნა (სახელმწიფო ბიუჯეტიდან) პირის მშობლიურ ენაზე და უფასო იურიდიული დახმარება. გადაწყვეტილება თავშესაფრის მაძიებლის შესახებ ასევე შეიცვას დეტალურ ინფორმაციას გასაჩივრების დროსა და სასამართლოს მისამართის შესახებ (ეს ინფორმაციაც წერილობით თავის ენაზე ეცნობება თავშესაფრის მაძიებელს.)



- „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც თავშესაფრის მაძიებლებს, ლტოლვილებსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ ხარისხიანი, კვალიფიციური და უფასო იურიდიული დახმარებით და სასამართლოში წარმომადგენლობით სააპელაციო პროცედურებისას. აღნიშნული ნორმა ამოქმედდება 2016 წლის 1 იანვრიდან.

თავშესაფრის მაძიებელთა განთავსების შესაძლებლობების გაზრდა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში 2010 წლიდან ფუნქციონირებს 60 ადამიანზე გათვლილი თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებისა და განთავსების ცენტრი. ცენტრი მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

თავშესაფრის მაძიებელთა მზარდი ნაკადიდან გამომდინარე, თავშესაფრის მაძიებელ პირთა დროებითი განთავსების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, თბილისში აშშ-ს საელჩოსა და სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობით, 2014 წლის 20 თებერვალს აშშ-ის ევროპული სარდლობის (EUCOM) ხელმძღვანელობით, აშშ-ის თავდაცვის თანამშრომლობის ოფისს (ODC) გამოეყო თანხა მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის დამატებითი შენობის მშენებლობისათვის. ახალი ცენტრი გათვლილია 72 ადამიანზე. 2014 წლის 7 აგვისტოს ხელი მოეწერა მემორანდუმს „აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ჰუმანიტარული დახმარების პროექტი: თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრი მარტყოფში“.

მეორე შენობის მშენებლობა დასრულდა 2015 წლის ბოლოს და მიმდინარეობს მისი კეთილმოწყობა. 2015 წელს სამინისტროში შექმნილი ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის გასაცემი შემწეობების დამდგენი კომისიის გადაწყვეტილებით, ალტერნატიული საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით, ხდება თავშესაფრის მაძიებელთათვის, საცხოვრებელი ფართის საქირავებლად ნაღდი ფულის გაცემა.



საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაცია

ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის მხრივ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა, კერძოდ:

განათლება

1. „ზოგადი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები ზოგადი განათლების სფეროში სარგებლობენ ისეთივე უფლებით, როგორც საქართველოს მოქალაქეები;
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის #15 დადგენილებით, განისაზღვრა თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ქართული ენის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შესაძლებლობა. დოკუმენტი ითვალისწინებს აღნიშნული კატეგორიისთვის:
 - ქართულ ენის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად;
 - პროგრამის დაძლევის შემთხვევაში, შესაბამის კლასში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;
 - ზოგადი განათლების მიღებისთვის აუცილებელი გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყოფას



- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 თებერვალის №2-5 დადგენილებით, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, მოხდა თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სკოლამდელი ასაკის შვილებისთვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ჯანდაცვა

2013 წლის 23 ოქტომბრიდან ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის მოქმედებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა; ხოლო 2015 წლის 1 იანვრიდან, „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამისა“ და ე.წ. ჯანდაცვის „ვერტიკალური“ პროგრამების მოსარგებლევად ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან ერთად, განისაზღვრნენ საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირებიც; აღსანიშნავია, რომ საყოველთაო დაზღვევასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სამინისტროში. ინფორმაციის გავრცელების მიზნით, დამზადებულია საინფორმაციო ლიფლეტებიც;

სოციალური დაცვა

2014 წლის 1 მარტიდან ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა გაიზარდა და დევნილების მსგავსად, განისაზღვრა 45 ლარით;



ნატურალიზაცია

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 12(4) მუხლის საფუძველზე, ლტოლვილის სტატუსის მქონე პირზე არ ვრცელდება დადგენილი მოთხოვნები, რასაც უყენებს სხვა უცხოელს, რომ:

- პირი მუშაობდეს საქართველოში ან/და,
- საქართველოში ფლობდეს უძრავ ქონებას,
- ან საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებდეს სამეწარმეო საქმიანობას,
- ან საქართველოს საწარმოში ფლობდეს წილს ან აქციებს.

ამდენად, ლტოლვილის სტატუსის მქონე პირები პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. რაც შეეხება ლტოლვილთა ნატურალიზაციის პროცედურისთვის ისეთ მოთხოვნებს, როგორცაა ენისა და ისტორიის ცოდნა, სამინისტრო სხვა ინსტიტუციებთან კოორდინაციით უზრუნველყოფს აღნიშნული სერვისების მიწოდებას. ასევე, მხარდაჭერილია სამინისტროს წარმომადგენლობა პანკისის ხეობაში, რათა უზრუნველყოს კომუნიკაცია იქ მაცხოვრებელ ლტოლვილებთან და ხელი შეეწყოს ინტეგრაციისა და ნატურალიზაციის პროცესს;

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თავშესაფრის მაძიებელ და თავშესაფრის მქონე პირთა ინტეგრაციის სტრატეგია არის 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის ნაწილი, რომელიც 2015 წლის ბოლოს დამტკიცდება. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, იგი აკეთებს დაკონკრეტებას საჭირო ფინანსური მხარდაჭერის შესახებ, რომელიც აუცილებელი იქნება ინტეგრაციის ღონისძიებების განსახორციელებლად. მოცემული ფინანსებიც დამტკიცებული იქნება სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან ერთად. ამჟამად, მიგრაციის სტრატეგიაში თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილისა და ჰუმანმიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაციის მიმართულებით ძირითადი საკითხებია:



1. სამართლებრივი ბაზის განვითარება
2. კოორდინირების გაძლიერება
3. ინტეგრაციის პოლიტიკის დახვეწა

- საკანონდებლო ცვლილებები
- არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ბენეფიციართა წვდომის გამარტივება აღნიშნულ სერვისებზე
- ქართული ენის სწავლების, როგორც ინტეგრაციის ძირითადი ნიშნის ხელშეწყობა

ინსტიტუციური ცვლილებები

თავშესაფრის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების ხარისხის მონიტორინგისა და ტრენინგის განყოფილება

სამინისტროში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული: თავშესაფრის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების ხარისხის მონიტორინგისა და ტრენინგის განყოფილება (მთავრობის დადგენილებით). სტრუქტურული ერთეული ფუნქციონირებას დაიწყო 2016 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული განყოფილება მოახდენს ეროვნული სასწავლო პროგრამების შემუშავებას, როგორც ახალი, ასევე გამოცდილი თანამშრომლებისთვის.

თავშესაფრის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების ხარისხის უზრუნველსაყოფად და ახალი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობისთვის შესაბამისი ნიადაგის მოსამზადებლად, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან (მაგ. პოლონეთი), რათა მოხდეს თავშესაფრის პროცედურებისთვის შესაბამისი ხარისხის ინდიკატორების დადგენა. ახალდაარსებული სტრუქტურული ერთეული ასევე მოახდენს ეროვნული და



საერთაშორისო პრეცედენტების ანალიზს თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებით, რათა შემუშავდეს ხარისხის ინდიკატორები 1951 წლის კონვენციით, ადამიანის უფლებათა ვროპული კონვენციის მესამე მუხლითა და ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა ინსტრუმენტების გარანტირებისა და პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით.

რაც შეეხება პროცედურული საქმიანობის ხარისხის ინდიკატორებს, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან და სხვა პარტნიორებთან. მაგალითისთვის, 2015 წლის ივლისში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და საქართველოში გაეროს ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი ინტერვიუს ტექნიკებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, სამინისტრომ მოახდინა სტატუსის დადგენის პროცედურებთან დაკავშირებით სტანდარტული ოპერაციული პროცედურებისა და სახელმძღვანელოების მობილიზება (ევროკავშირისა და რეგიონული, მაგ. სომხეთი, ლიტვა და ა.შ.) რაც მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ხარისხის ინდიკატორების სამომავლო განვითარებაზე საქართველოში თავშესაფრის პროცედურების მიმართულებით.

იმ მიზნით, რომ გარანტირებული იყოს ამ განყოფილების წარმატებული ფუნქციონირება, სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ ხდება არსებული ტრენინგის სახელმძღვანელოს გადახედვა (რომელიც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტ GOVAC-ის (მოლდოვასა და საქართველოში ტრენინგებისა და ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება მიგრაციასა და თავშესაფართან დაკავშირებით) ფარგლებში შეიქმნა ICMPD-სა და დანიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ. სახელმძღვანელო შედგება სხვადასხვა ტრენინგ მოდულისგან, რომელიც ასევე შეიცავს სპეციალურ მოდულს გამოცდილი და ახალი ლტოლვილის სტატუსის დამდგენი სპეციალისტებისთვის. სახელმძღვანელო მოიცავს თეორიულ ნაწილსაც, ისევე როგორც პრაქტიკულ ნაწილს, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება თავშესაფრის პროცედურების წარმატებით განსახორციელებლად (მაგ. ინტერვიუს ტექნიკები, COI ინფორმაციის მოძიება და დოკუმენტური აღრიცხვა და ა.შ.). ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა მივიღოთ რა ქართულ კანონმდებლობაში მიმდინარე



ცვლილებები თავშესაფრის მიმართულებით, აღნიშნული ცვლილებების მიხედვით უნდა მოხდეს სახელმძღვანელოს ეროვნულ დონეზე გამოყენების ნაწილის ჩასწორებაც. აღნიშნულ სახელმძღვანელოს ამჟამად რამდენიმე სახელმწიფო უწყება იყენებს, იგი ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილება

2014 წლის იანვრიდან სამინისტროში ფუნქციონირებს „თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების“ განყოფილება (COI).

2015 წელს სამინისტროს COI განყოფილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. 2014 წლის სექტემბიდან განყოფილებაში 3 მკვლევარი მუშაობს. ამ პერიოდში მთელი რიგი ტრენინგები განხორციელდა მკვლევრებისათვის, მათ შორის, პრაქტიკული კლევის წარმოება წარმოშობის ქვეყნის შესახებ და დოკუმენტირების მეთოდები.

ამჟამად უკვე ფუნქციონირებს წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მკვლევარისთვის. დამატებით, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია კლასიფიცირდება, ხდება მათი დოკუმენტაცია და ინახება შემდგომი გამოყენებისთვის.

წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების სპეციალისტები ყოველთვიურად ხვდებიან სხვა საქმეზე მომუშავე მუშაკებს საქმიანობის სპეციფიკაზე მოსაზრებების ურთიერთგაცვლისთვის.

წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის განყოფილებასა და პოლიტიკის პროდუქტებს შორის გამიჯვნა განსაზღვრულია მინისტრის #100 ბრძანებში „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მინიჭების პროცედურის შესახებ“.

- განყოფილება ახდენს ინფორმაციის გადამუშავებას მიუკერძოებლად, ობიექტურად და ნეიტრალურად;



- იგი არ მონაწილეობს პირდაპირ თავშესაფრის პროცედურაში;
- განყოფილება დამოუკიდებელია ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების დროს და პოლიტიკური მოსაზრებები არ ახდენს მასზე ზეგავლენას.

განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების განყოფილებებთან: მაგალითისთვის, პოლონეთის უცხოელთა ოფისთან; გერმანიის მიგრაციისა და ლტოლვილთა ფედერალურ ოფისთან (ქართულ მხარეს აქვს წვდომა გერმანულ მონაცემთა ბაზასთან) და ა.შ.

პროექტ ENIGMMA-ს ფარგლებში და ქართული COI განყოფილებისა და ICMPD-ის ინიციატივით, განხორციელდა და იგეგმება შემდგომი ღონისძიებები:

- განვითარდა წარმოშობის ქვეყნის შესახებ განყოფილების სტანდარტული ოპერაციული პროცედურები .
- უკვე ხორციელდება საქმეზე მომუშავე სპეციალისტების მიერ განყოფილებისთვის მოთხოვნების გაგზავნა და განყოფილება ახდენს შეკითხვებზე კვლევას და შესაბამისი პასუხების მიწოდებას სპეციალისტებისთვის.
- ინფორმაციის მოძიების მეთოდების გაუმჯობესების მხარდასაჭერად ტარდება ტრენინგები/ვორქშოპები.
- სპეციფიკური წარმოშობის ქვეყნებთან დაკავშირებით (რუსეთი, შუა აღმოსავლეთი) იგეგმება ტრენინგის ჩატარება, 2015 წლის ოქტომბერში. აღნიშნულ ვორქშოპზე ასევე მოწვეულნი იქნებიან ქართველი მოსამართლეებიც.
- მიღწეულია შეთანხმება წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და დოკუმენტირების ავსტრიის ცენტრთან ACCORD, რომელიც საქართველოდან გაგზავნილ მოთხოვნებზე (წელიწადში 15 მოთხოვნა) მოახდენს რეაგირებას და ინფორმაციის მოძიებას.



- იგეგმება წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების სპეცილისტებისთვის სტაჟირებების გავლა ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამის განყოფილებებში.

თავშესაფრის სტატისტიკა და საქმეთა ეფექტური მართვა

2015 წელს საქართველოს თავშესაფრის თხოვნით მომართა 1449 პირმა, მათგან 404 პირი არის უკრაინის მოქალაქე, ხოლო 650 ერაყის რესპუბლიკის.

2015 წლის მდომარეობით, საქართველოში თავშესაფრით სარგებლობს (ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსით) 1187 პირი.

სამინისტრომ თავშესაფრის მაძიებელთა საქმეების მართვის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა:

- სამინისტრომ მოახდინა დაგროვილი საქმეების მართვა: 2015 წლის იანვრის თვეში, როდესაც ევროკავშირის შემფასებელი მისია იმყოფებოდა საქართველოში, იყო 1174 დაგროვილი საქმე. 2015 წლის სექტემბრის მონაცემებით, დარჩენილი იყო მხოლოდ 209 საქმე.
- მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა მოულოდნელი ნაკადების მართვის სისტემის დახვეწის მიმართულებითაც - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 16 აგვისტოს #100 ბრძანებასა და სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში შევიდა ცვლილება. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე შემუშავდება დაგროვილი საქმეების მართვის სტრატეგია. ორივე დოკუმენტი უზრუნველყოფს მიგრაციული ნაკადების მართვის პრაქტიკულ სქემებს თავშესაფრის მაძიებელთა მასობრივი შემოდინების დროს.



- 1951 წლის კონვენციის კონკრეტული დებულებების გათვალისწინებით, სახელდობრ, თავშესაფრის მაძიებელთათვის დაცვის მექანიზმების გარანტირების, მეორე მხრივ კი სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვისთვის, სამინისტრომ გამართა კონსულტაციები და მოლაპარაკებები დაკავშირებულ მხარეებთან შსს-ს მიერ ეროვნული უსაფრთხოების შესახებ თავშესაფრის მაძიებელზე მოწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით დასაბუთებულობის წარმოდგენის შესახებ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მიღწევები განხორციელებულდა.

კერძოდ:

- მოხდა ცვლილებების შეტანა ლტოლილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლში (რომელიც უკვე ძალაში შევიდა), რომლის მიხედვითაც შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიაწვდის დასაბუთებას თავშესაფრის მაძიებელზე სახელმწიფო უსაფრთხოებიდან გამომდინარე უარყოფითი დასკვნის დადების შემთხვევაში.
- აღნიშნული ცვლილება შესაძლებლობას მისცემს გადაწყვეტილების მიმღებ უწყებებს მოახდინონ თავშესაფრის მაძიებლისათვის თავშესაფრის მინიჭებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების საფრთხის შეთანასწორება და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება.
- ამასთან ერთად, თავშესაფრის მაძიებლებს მიეწოდებათ უარის დასაბუთება (თავიანთ ენაზე), რაც შესაძლებელს გახდის მათ მიერ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას სასამართლოში, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც უარი სტატუსის მინიჭებაზე გამომდინარეობს სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებიდან.



რეპატრიანტები

მუსულმანი მესხებისთვის რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების თაობაზე განაცხადების მიღების ვადა 2010 წლის 1 იანვარს ამოიწურა. საქართველოს რეპატრიაციის თხოვნით 5 841-მა სრულწლოვანმა მიმართა. დღეის მდგომარეობით, რეპატრიანტის სტატუსი მინიჭებული აქვს 1 533-ს, ხოლო 479-მა რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირმა მიიღო საქართველოს პირობადებული მოქალაქეობა.

2014 წელს საქართველოს მთავრობამ მუსლიმი მესხების რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგია დაამტკიცა. აღნიშნული სტრატეგიის შექმნა, ეს არის ქართული მხარის კეთილი ნება და არა 1999 წელს ევროსაბჭოში გაწვევრიანებისას აღებული ვალდებულება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის შემუშავება. როგორც სტრატეგიაშია ნათქვამი, რეპატრიანტთა ღირსეული დაბრუნება გულისხმობს რეპატრიანტების მაქსიმალურ ინფორმირებულობას და მათ ახალ სამართლებრივ გარემოში ადაპტირებას. ამ მიზნით, განსაზღვრულია რეპატრიანტთა საჭიროებების შესწავლა, რეგიონებში არსებული რესურსების იდენტიფიცირება, რეპატრიანტთა ინფორმირებულობა აუცილებელი სამართლებრივი თუ საყოფაცხოვრებო საკითხების შესახებ, ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდება.

სრულფასოვანი სამოქალაქო ინტეგრაციისთვის აუცილებელია, რეპატრიანტთა მიერ სახელმწიფო ენის ცოდნა. შესაბამისად, მთავრობა გეგმავს მათთვის ქართული ენის შემსწავლელი პროგრამების ორგანიზებასა და სახელმწიფოში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.



მიგრანტები

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშოწყოების კომპონენტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციული პროცესების მართვის კუთხით და ჩვენი უწყების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიგრაციის, რეპატრიაციის და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტი არის მთავარი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში სარეინტეგრაციო ხასიათის ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით, რაც მიგრაციის სტრატეგიის, სამინისტროს დებულებისა და სხვა დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე ხორციელდება. დეპარტამენტის მიერ ხდება რეინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების განსაზღვრა, ისევე როგორც სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საერთაშორისო პარტნიორების საქართველოში მიმდინარე სარეინტეგრაციო პროგრამების კოორდინირება.

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით, 2011 წლიდან საქართველოში ხორციელდებოდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი- მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის. აღნიშნული პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა როგორც საქართველოს ხელისუფლების ცნობიერების ამაღლება მიგრაციის მართვის მიმართულებით, ასევე დაბრუნებული მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაცია და საინფორმაციო კამპანიის წარმოება ლეგალური მიგრაციის გზებსა და არალეგალური მიგრაციის პრევენციაზე. აღნიშნულ პროექტს ჰქონდა 3 მილიონ ლარიანი ბიუჯეტი და იგი წარმატებით დასრულდა 2014 წლისთვის, რა დროის მონაცემებითაც, 1165 ადამიანს გაეწია დახმარება. მიზნობრივი ინიციატივა საქართველოს შემდეგ კვლავ



ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო, რომლის იმპლემენტაციას ახლაც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ახორციელებს. პროექტის მთავარი მიზანია საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაცია, ისევე როგორც საიფორმაციო კამპანიის წარმოება ლეგალური მიგრაციის გზებსა და არალეგალური მიგრაციის საფრთხეებზე. პროექტი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ხორციელდება მობილურობის ცენტრების მეშვეობით, რომლებიც მდებარეობს თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და თელავში. პროექტის საერთო ბიუჯეტი არის 375 000 ევრო და ის 2017 წლისთვის დასრულდება. ამ დრომდე სამინისტრომ ეტაპობრივად, სრულად უნდა გადაიბაროს მობილურობის ცენტრის ფუნქციები და დამოუკიდებლად უნდა უზრუნველყოს სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერა. სწორედ ამ მიზნით საქართველოს მთავრობამ 2015 წელს გამოყო საგრანტო თანხა 400 000 ლარის ოდენობით, რომელიც სრულად სარეინტეგრაციო პროგრამების გახორციელებას მოხმარდება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ გამოაცხადა საგრანტო პროექტი საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. საგრანტო კონკურსი მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, რეინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას, ხოლო მეორე მხრივ, არასამთავრობო სექტორის გააქტიურებას ამ მიმართულებით. კონკურსის შედეგად მოხდა გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციების შერჩევა სპეციალური საგრანტო კომისიის მიერ, რომელიც დაკომპლექტებული იყო როგორც სამინისტროს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ისეთი წარმომადგენლებისგან, როგორცაა: IOM, DRC, ICMPD.

აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულია სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის შემდეგი სერვისების მიწოდება:

- სოციალური პროექტების დაფინანსება
- დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა
- პროფესიული სწავლება



- ანაზღაურებადი სტაჟირება
- სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება
- იურიდიული დახმარება
- საზოგადოებრივი ინფორმირებულობის პროგრამების დაფინანსება

თითოეული მიმართულება თავის მხრივ ფარავს ქ. თბილისს, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებს. მოცემული რეგიონების შერჩევა მოხდა საჭიროების მიხედვით. დანარჩენ რეგიონებში ამჟამად მიმდინარეობს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეინტეგრაციის პროგრამა. სახელმწიფოს და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს იდენტური რეინტეგრაციის დახმარებები ეწევათ, ამასთან ერთად, აღსანიშნავია ამ ორი პროგრამის ერთმანეთთან არსებული ძალიან ოპერატიული კოორდინაცია ბენეფიციარების გადამისამართების მხრივ. სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ფარგლებში ხდება აქტიური თანამშრომლობა და კოორდინაცია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მობილურობის ცენტრებთან, რათა მაქსიმალურად მოხდეს გამოცდილების გაზიარება და თანხის მიზნობრივი ხარჯვა. აღნიშნული პროგრამის სამიზნე ჯგუფში მოიაზრებიან საქართველოს მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები (საქართველოს მუდმივი ბინადრობის ნებართვით), რომლებიც:

- საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ ერთ წელზე მეტი ვადით არალეგალურად ან საზღვარგარეთ ჰქონდათ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდნენ ჰუმანიტარული სტატუსით;
- რეინტეგრაციის პროგრამაში ჩაერთვებიან სამშობლოში დაბრუნებიდან 1 წლის განმავლობაში.



აქვე აღსანიშნავია, რომ სარეინტეგრაციო ღონისძიებები 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამჟამად უკვე მიღებულია საქართველოსთვის მიგრაციის რისკების ანალიზის კონცეფცია და აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მისი სამოქმედო გეგმის შექმნაზე. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რათა მოხდეს საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რაოდენობის დადგენა (ნებაყოფლობით, რეადმისიით, დეპორტაციით).

საერთაშორისო ურთიერთობები

- საქართველო გახდა ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის პროგრამის აღმასრულებელი კომიტეტის (Executive Committee of the Programme of the United Nations High Commissioner for Refugees) წევრი
- მინისტრმა მონაწილეობა მიიღო გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის აღმასრულებელი კომიტეტის 66-ე სესიის მუშაობაში.

საქართველოსთვის აღმასრულებელ კომიტეტში გაწევრიანება დევნილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთაშორისო დაცვის რეჟიმის ნორმების აღიარებისა და დაცვიდან გამოდინარე, ძალზედ მნიშვნელოვანია.

ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის პროგრამის საქმიანობა მიმართულია იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის საკითხებში



საერთაშორისო ძალისხმევის კოორდინაციაზე. აღმასრულებელ კომიტეტში 98 ქვეყანაა გაწევრიანებული. საქართველომ აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესი 2013 წელს დაიწყო. საქართველოს გაწევრიანების შესახებ რეკომენდაციები გასცა გაეროს ეკონომიკურმა, სოციალურმა საბჭომ, გენერალური ასამბლეის მესამე კომიტეტმა და გენერალურმა ასამბლემ.

აღსანიშნავია, რომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის აღმასრულებელი კომიტეტის წევრობა არ განისაზღვრება რაიმე ვადით ანუ სამუდამოა, წევრები მონაწილეობენ ისეთი საკითხების განხილვაში, როგორცაა განსახორციელებელი პროგრამების შინაარსი და ბიუჯეტი.

66-ე სესიაზე „საქართველოში დევნილთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა მდგომარეობის შესახებ“ სიტყვით გამოვიდა მინისტრი. გაიმართა მინისტრისა და უმაღლესი კომისრის შეხვედრა, რომელზეც განხილული იყო ურთიერთთანამშრომლობისა და დახმარების საკითხები.

სამინისტრო და დონორი ორგანიზაციები

სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან. მათი დახმარებითა და ჩართულობით ხორციელდება სხვადასხვა საქმიანობა დევნილთა, ლტოლვილთა, მიგრანტებისა და სამინისტროს სხვა ბენეფიციარების დახმარების მიზნით. თუმცა, მსოფლიოში განვითარებული მოვლენების პარალელურად, საგრძნობლად შემცირდა დონორების მხრიდან დახმარება. დღეისათვის შემდეგი პროექტები ხორციელდება:



ევროკავშირი (EU)

2 მილიონი ევრო გამოიყო გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისთვის (UN FAO), რომელმაც დევნილთა ჩართულობით განახორციელა სოფლის მეურნეობის პროექტები.

2 მილიონი ევროს ტექნიკური დახმარება დაიწყო 2014 წელს და განხორციელდება ორი წლის განმავლობაში. აღნიშნული პროექტის მიზანია სამინისტროს შესაძლებლობების შექმნა დევნილთა დახმარების ღონისძიებების ეფექტური განხორციელებისათვის.

უზო-უკვლოდ დაკარგულები

ევროკავშირი ფინანსურ დახმარებას უწევს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ფარგლებში მომუშავე ქართულ-აფხაზური ორმხრივი საკოორდინაციო მექანიზმის საქმიანობას. საკოორდინაციო ჯგუფი 2010 წელს შეიქმნა და შეისწავლის 1992-93 წლებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად უზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკითხებს. ორმხრივი შეხვედრები ხორვატიის ქალაქ ზაგრებში, ასევე ერევანსა და სტამბულში უკვე 8-ჯერ გაიმართა.

ჩატარებული სამუშაოს შედეგად გადაწყდა სოხუმის ბაბუშერას და თბილისის დიდმის ძმათა სასაფლაოს ექსკუმაცია. გრძელდება მოლაპარაკებები სხვა სამარხების გახსნისა და ცხედრების გადმოსვენების შესახებ.



შვეიცარიის განვითარების სააგენტო (SDC)

ეკომიგრანტების განსახლება და დახმარება საარსებო წყაროების მოძიებაში - 2014 წლის მარტში (ხელშეკრულების პერიოდი: 2014 წლის მარტი-2015 წლის დეკემბერი), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, „რეგიონალური განვითარებისა და სოციალური დახმარების ცენტრს“ და „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს“ შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, საიდანაც სამინისტროს ტრანშის სახით გამოეყოფა 550 000 შვეიცარიული ფრანკი საცხოვრებელი სახლების შესასყიდად და „რეგიონალური განვითარებისა და სოციალური დახმარების ცენტრს“ 150 000 შვეიცარიული ფრანკი განსახლებული ოჯახების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასტარტო საარსებო წყაროს უზრუნველსაყოფად.

ჯამში, შესყიდული იქნება, დაახლოებით, 54 საცხოვრებელი სახლი, საიდანაც აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დაზარალებული ოჯახებისთვის უკვე შესყიდულია 46 სახლი, ხოლო დარჩენილი 8 საცხოვრებელი სახლის შეძენა წლის ბოლომდე განხორციელდება.

აშშ-ის განვითარების სააგენტო (USAID)

იძულებით გადაადგილებული პირების გრძელვადიანი განსახლება - 2012 წლის 28 სექტემბერს, საქართველოსა და აშშ-ის განვითარების სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულების შესწორების საფუძველზე დევნილთა განსახლების პროგრამისთვის გამოიყო 34 668 597 მლნ.დოლარი. აღნიშნული თანხით განხორციელდა სამშენებლო



სამუშაოები დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით. მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში, რომლის ღირებულებაც შეადგენს 6.8 მილიონ აშშ დოლარს, USAID-მა 2013 წელს დაასრულა 10 ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები იმერეთის რეგიონში 400-მდე ოჯახისთვის. ამ ეტაპზე მინდინარეობს 8 ახალი ობიექტის რეაბილიტაცია, სადაც 200-მდე დევნილი ოჯახი განთავსდება. ასევე ხორციელდება 35 კოლექტური ცენტრის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

USAID-ის მიერ ასევე ხდება საბინაო ამხანაგობების მხარდაჭერა და საარსებო წყაროების ხელშეწყობის პროექტების დაფინანსება ახალი ეკონომიკური ინიციატივის (NEO) ფარგლებში, რომლის თაობაზეც USAID-სა და სამინისტროს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს.

ორგანიზაცია დევნილთათვის გასცემს გრანტებს, რომელთა მიზანია ბიზნესის ან სხვა საქმიანობის წამოწყება, რაც მოიტანს შემოსავალს ბინათმესაკუთრეთა /მობინადრეთა ამხანაგობების მოვლა-ექსპლუატაციის საქმიანობებისთვის.

პროექტის ფარგლებში ასევე ხორციელდება პროფესიული ტრენინგები დევნილთათვის, რათა ხელი შეეწყოს მათი დასაქმების შესაძლებლობებს, რაც მოიცავს ისეთ პროფესიებს, როგორცაა მაგალითად: მკერავის, სტილისტის, მზარეულის, კონდიტერის და ავტომანქანის შემკეთებლის პროფესიები.

კრედიტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, NEO, CHCA-ს მეშვეობით, აგრძელებს დახმარების გაწევას იძულებით გადაადგილებული პირებისა და NEO-ს დაუცველი ბენეფიციარებისათვის, ბიზნესთან დაკავშირებული ტრენინგისა და უპროცენტო სესხების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, შემოსავლების გენერირებისა და ბიზნესის ხელშეწყობის ინიციატივის (IGBSI) პროექტის ფარგლებში. 2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით გაიცა 342 უპროცენტო სესხი 322 684 ლარის ოდენობით.



გერმანიის განვითარების ბანკი (KfW)

გერმანიის რეკონსტრუქციის და განვითარების საკრედიტო ბანკის დაფინანსებით, ზუგდიდში, დევნილებისთვის მიმდინარეობს სახლების მშენებლობა. აშენდა 8 კორპუსი, სადაც 320-მა დევნილმა ოჯახმა მიიღო ბინა. მშენებლობა 2014 წლის ოქტომბერში დასრულდა. აღნიშნული პროექტისთვის გამოყოფილი თანხებიდან დარჩა 400 000 ევრო, რომელიც „სოფლად სახლის“ პროგრამაში მიემართება.

ევროკავშირის პროექტი დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის გასაძლიერებლად

ევროკავშირის დაფინანსებით სამინისტროში შეიქმნა სამინისტროს პროცესებზე ორიენტირებული ტექნიკური მხარდაჭერის პროექტი, რომლის მიზანია სამინისტროსა და მისი ტერიტორიული ორგანოების რესურსებისა და შესაძლებლობების ზრდა. პროექტის ფარგლებში შემუშავდა დევნილთა სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა და დევნილთა საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის პროექტები, რომლებიც საბოლოო დოკუმენტებად ჩამოყალიბდება არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და მიღებულ იქნება უახლოეს პერიოდში.

პროექტის დახმარებით ასევე შემუშავდა დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს კონცეფცია, საარსებო წყაროების მხარდაჭერი პროექტების შერჩევის და განხორციელების პროცედურის დოკუმენტი და აღნიშნული მიმართულებით საქმიანობის წარმართვის გზამკვლევი. პროექტმა და სამინისტრომ ერთობლივად განახორციელეს ტრენინგები: საჯარო პოლიტიკის შემუშავებასა და



ანალიზში, ანგარიშის მომზადების უნარ-ჩვევებში, ტრენერთა ტრენინგში და ინგლისურ ენაში.

ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით ასევე ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული სამინისტროს ინიციატივის „დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროექტის“ ახალი თანამშრომლების გადამზადება. პროექტის მიზანია დევნილთათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართების დაკანონების ეფექტური უზრუნველყოფა.

პროექტის დახმარებით სამინისტრო ასევე გეგმავს განსახლების თაობაზე დევნილთა აპლიკაციების მიღების და დამუშავების პროცესის სრულყოფის მიზნით სათანადო ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას, რომელიც მნიშვნელოვნად აამაღლებს დევნილთა დეპარტამენტის ეფექტურობას და გაუიოლებს დევნილებს, ისარგებლონ სამინისტროს მომსახურებით.

სამინისტროში პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველო შეიქმნა

2015 წლის აგვისტოში ევროკავშირის პროექტის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის პროცესზე ორიენტირებული ტექნიკური დახმარების აღმოჩენა“ ფარგლებში სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის შემადგენლობაში ფუნქციონირება დაიწყო პოლიტიკისა და ანალიზის სამმართველო.



სამმართველოს საქმიანობა წარიმართება ორი მიმართულებით, კერძოდ: პოლიტიკისა და შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება; მონაცემის შეგროვება, სტატისტიკური ანალიზი და ანალიტიკური ანგარიშების მომზადება.

სამმართველოს შემადგენლობაში შედის 6 თანაშრომელი, რომლებსაც ტექნიკურ დახმარებასა და კონსულტაციას გაუწევს ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მომუშავე 3 ექსპერტი.

ამ მომენტისთვის სამმართველოს სრული შემადგენლობა აქტიურად არის ჩართული „დევილთათვის საარსებო წყაროების შექმნის“ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პროექტი

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ერთობლივი პროექტის „სამინისტროს შესაძლებლობების გაზრდა დევილთათვის გრძელვადიანი გადაწყვეტილების განსახორციელებლად“ 2015 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები.